

საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი
ცენტრის 2010 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში

1. 2010 წელს დამთავრებული გეგმიური და გრანტებით დაფინანსებული
სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მოკლე ანგარიში

საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი თავის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას წარმართავს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების - სასარგებლო წიაღისეულის, ენერგეტიკული, მიწის, წყლის, ტყის, ბუნებრივ-რეკრეაციული, ტურისტული და ადამიანური რესურსების, მათი რაციონალური გამოყენების პრობლემების დასამუშავებლად, რეგიონების მიხედვით. საანგარიშო წელს გეგმის შესაბამისად ჩატარებულია საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონების - სამეგრელოს და მცხეთა-მთიანეთის ბუნებრივი რესურსების და მათი რაციონალური გამოყენების პრობლემების კვლევა. შესრულებულია რეგიონების ბუნებრივი რესურსების არსებული მდგომარეობის ანალიზი და განსაზღვრულია მათი რაციონალური, კომპლექსური გამოყენების პერსპექტივები.

შესწავლილი და გაანალიზებულია სამეგრელოს და მცხეთა-მთიანეთის სასარგებლო წიაღისეული (სახეობათა მიხედვით), ენერგეტიკული (ჰიდრო, მზის, ქარისა და გეოთერმული წყლების), მიწის, წყლის, ტყის, ბუნებრივ-რეკრეაციული, ტურისტული და ადამიანური (შრომითი) რესურსები.

მიმდინარეობდა სამეგრელოს და მცხეთა-მთიანეთის მხარის მინერალური და თბოენერგეტიკული რესურსების კვლევა, კერძოდ, სასარგებლო წიაღისეულის კომპლექსური, უდანაკარგო მოპოვებისა და გამდიდრების უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავების და ეკონომიკის ყველაზე მომგებიან დარგებში გამოყენების საკითხების შესწავლა.

მნიშვნელოვანი კვლევები წარმოებდა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ოპტიმალური განვითარებისა და ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის დონის ასამაღლებლად. ამ მიზნით ყურადღება გამახვილდა ადგილობრივი გეოთერმალური რესურსების გამოყენებასა და ენერგოეფექტური გეოთერმული თბოსიცივით მომარაგების ახალი კომპლექსური სისტემების დამუშავებაზე.

მოსახლეობის მაღალხარისხიანი სასმელ-საყოფაცხოვრებო წყლით მდგრადი უზრუნველყოფის მიზნით გრძელდებოდა კვლევები რეგიონების მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი და საექსპლუატაციო რესურსების შეფასების (დაზუსტების) მიმართულებით, ადმინისტრაციული რაიონების, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მიხედვით, ასევე ოპტიმალური ვარიანტების დამუშავება მოსახლეობის კონდიციური სასმელი წყლით გარანტირებული მომარაგებისათვის.

მიმდინარეობდა აგრეთვე მიწის, ტყისა და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების კვლევა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კურორტებისა და ტურიზმის როლს რეგიონების ეკონომიკაში. რეკრეაციული რესურსების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ეკონომიკური ეფექტიანობის ჩვენებით, დააინტერესებს პოტენციურ ინვესტორებს ტურიზმის სფეროში კაპიტალდაბანდებათა განსაზღვრისას.

ჩატარებული კვლევების შედეგად წარმოდგენილია სამეგრელოს და მცხეთა-მთიანეთის ბუნებრივი და ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენების ეფექტური წინადადებები და რეკომენდაციები. მიღებული შედეგები ასახულია

მონოგრაფიულ ნაშრომებში და სხვადასხვა რეიტინგულ გამოცემებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებში, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონების ეკონომიკის განვითარებაში, ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით.

2010 წელს მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებით დაფინანსებული შემდეგი პროექტების დამუშავება:

1. პროექტი #65/07 `ზუგდიდი-ცაიშის აგროკომპლექსის თბოსიცივით მომარაგების სისტემის დამუშავება არატრადიციული ენერჯის (გეოთერმული წყლების) ბაზაზე~ (ხელშეკრულება #423). პროექტში ახლებურად არის გააზრებული საქართველოს გეოთერმული ენერჯეტიკის ფუნქციონირების ტექნიკურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმი, შემუშავებულია ახალი ტექნოლოგიები გეოთერმული თბოსიცივით მომარაგების ექსპლუატაციის საიმედოობისა და ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

აღნიშნული პროექტი ემსახურება საქართველოს გეოთერმული ენერჯეტიკის განვითარებას, რაც ქვეყნის სათბობ-ენერჯეტიკული ბალანსის დეფიციტის შემცირებას შეუწყობს ხელს. პროექტის განხორციელება საინტერესოა ეკოლოგიური და საინვესტიციო წინადადებების მომზადების თვალსაზრისითაც.

პროექტი დამთავრებულია – 2010 წლის 1 მარტს. ანგარიში წარდგენილია ფონდში.

2. თანამონაწილის სტატუსით სრულდება პროექტი `ბარიტ და ნახშირშემცველი ტექნოგენური საბადოების რაციონალური გამოყენების მიმართულებების შემუშავება~ (ხელშეკრულება #443). 2010 წელს შესრულებულია ბარიტშემცველი საბადოების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება, ბარიტშემცველი ნარჩენების კვლევის მეთოდის შემუშავება და სხვ.

პროექტის დამთავრების ვადაა – 2011 წლის 1 მარტი.

2. 2010 წელს ცენტრის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომათა ნუსხა და მათი მოკლე ანოტაციები

1. ი.ჟორდანიას, გ.მაღალაშვილი, გ.გობეჩია, ქ.ვეზირიშვილი, ო.ფარესიშვილი, ლ.ჩიქავა და სხვ. (2010). სამეგრელოს ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. თბილისი, 18 ნაბ. თაბ. (მონოგრაფია).

ანოტაცია: განხილულია სამეგრელოს მხარის მიწის, წყლის, სასარგებლო წიაღისეული, ენერჯეტიკული, ტყის, ბუნებრივ-რეკრეაციული, ტურისტული და შრომითი რესურსები, გაანალიზებულია მათი თანამედროვე მდგომარეობა ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევათა შედეგების და სათანადო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და საწარმოო დაწესებულებათა შრომებისა და მასალების განზოგადოების საფუძველზე; წარმოდგენილია მათი რაციონალური, კომპლექსური გამოყენების პერსპექტიული მიმართულებები.

2. ი.ჟორდანიას, გ.მაღალაშვილი, გ.გობეჩია, ქ.ვეზირიშვილი, ო.ფარესიშვილი, ლ.ჩიქავა და სხვ. მცხეთა-მთიანეთის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საწარმოო

ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. თბილისი, 2010. 24 ნაბ. თაბ. (მონოგრაფია).

ანოტაცია: განხილულია მცხეთა-მთიანეთის მხარის მიწის, წყლის, სასარგებლო წიაღისეული, ენერგეტიკული, ტყის, ბუნებრივ-რეკრეაციული, ტურისტული და შრომითი რესურსები, გაანალიზებულია მათი თანამედროვე მდგომარეობა ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევათა შედეგების და სათანადო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და საწარმოო დაწესებულებათა შრომებისა და მასალების განზოგადოების საფუძველზე; წარმოდგენილია მათი რაციონალური, კომპლექსური გამოყენების პერსპექტიული მიმართულებები.

3. ი.ჟორდანიას, გ.ქევიციანი (2010). ღრუტანიანი თუჯის ნამზადების უწყვეტი ჩამოსხმის მანქანის გამოწვევის გალის კონსტრუქცია (ინგლ. ენაზე). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ.4, #2, 4 გვ.

ანოტაცია: ღრუტანიანი ნამზადის უწყვეტ ჩამოსხმაზე გადასვლასთან დაკავშირებით შემუშავებულია გამომწვევი გალის ახალი კონსტრუქცია და დადგენილია მისი კონსტრუქციული პარამეტრების განსაზღვრის მეთოდიკა.

4. ი.ჟორდანიას, ქ.ვეზირიშვილი (2010) არატრადიციული ენერჯის წყაროები – მომავლის ალტერნატივა. თბილისი. პრეპრინტი, 6 გვ.

ანოტაცია: განხილულია საქართველოს განახლებადი არატრადიციული ენერჯის - ჰიდრო, მზისა და ქარის რესურსები და განსაზღვრულია მათი გამოყენების პერსპექტიული შესაძლებლობანი.

5. (2010).
XIV
«
».
, 13-15 2010 , 6 .

ანოტაცია: ლითონთა უწყვეტი ჩამოსხმის ტექნოლოგიის დარგში სამეცნიერო შრომები ძირითადად ითვალისწინებს რიგითი მარკის ფოლადების ტექნოლოგიური რეჟიმების დადგენა-დახვეწას. სამუშაო ეძღვნება სპეციალური ფოლადების ჩამოსხმის ტექნოლოგიური პარამეტრების შემუშავებას.

6. (2010).
VI
«
».
, 20-24 2010 ,
6 ..

ანოტაცია: ნამზადის ჩაჯდომის პროცესის დაჩქარებისას ხახუნის გაძლიერება ღერძსა და ნამზადს შორის უკვე მცირე სიღრმეზე კომპენსირდება ზამბარის ძალისხმევით და ღერძი ეშვება ნამზადის ღრუში ნაკლებ სიღრმეზე. მოცემულია ღრუ ნამზადის შიდა კროსტალიზატორისაგან მოჭიმვის ძალის ცვლილების დიაგრამა.

7. K. Vეზირისჰვილი, N. Mირიანასჰვილი, თ. გედევანისჰვილი (2010). ჭორკინგ ოუტ ანდ ინვესტიგატიონ ოფ ენერჯი-ეკონომიკალ ეფფიციენცი ოფ ენერჯი-პრესერვინგ სესტემს ონ ბასის ოფ ჰეატ პომპ პლანტ ანდ გეოტერმალ წატერ ონ აგროინდუსტრიალ ცომპლექს ენტერპრისეს. ინტერნაციონალ სციენტიფიკ ჯოურნალ "PდOBLEMშ OF MEშHANIშმ". თბილისი, #1(38), პ. 67-81.

ანოტაცია: განხილულია რძის გადამამუშავებელ ქარხნებში თბური ტუმბოების დანადგარების ბაზაზე მომუშავე კომპლექსური თბო-სიცივით მომარაგების სისტემების ექსპერიმენტული და ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევის შედეგები.

8. ქვეზირიშვილი, ნ.მირიანაშვილი, თ.გედევანიშვილი (2010). მეურნეობის სხვადასხვა დარგის თბოსიცივით მომარაგების ახალი სისტემების დამუშავება გეოთერმული ენერჯის გამოყენებით. "ენერჯია", #1(53), გვ. 36-43.

ანოტაცია: წარმოდგენილია აგროსამრეწველო კომპლექსის მომხმარებელთა თბოსიცივით მომარაგების სპეციფიკური ტიპები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კონსერვაციის ახალი ეფექტური საშუალებები გეოთერმული წყლების გამოყენებით.

9. ქვეზირიშვილი, ნ.მირიანაშვილი, თ.გედევანიშვილი (2010). საყოფაცხოვრებო-კომუნალური სექტორის თბოსიცივით მომარაგება გეოთერმული წყლების ბაზაზე. "ენერჯია", #1(53), გვ. 44-48.

ანოტაცია: წარმოდგენილია კომუნალური სექტორის გეოთერმული თბოსიცივით მომარაგების სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების 50-70%-იან ეკონომიას და გარემოს დაცვას.

10. გ.მაღალაშვილი (2010). შემცველი ქანებით თბოუნარიანი ნივთიერების ადსორბციით მურა ნახშირის ბუნებრივი გადარიბების დადგენა ზოგიერთი საბადოს მაგალითზე. სამთო ჟურნალი #1 (24), გვ. 17-19.

ანოტაცია: პირველად იქნა გამოვლენილი მურა ნახშირებში ბუნებრივი "გადარიბება" (თბიუნარიანობის დაქვეითება და შესაბამისად ნაცრიანობის მომატება), როდესაც ნახშირების შემცველი ქანები წარმოდგენილია ბენტონიტური თიხებით (ადსორბენტებით).

11. G.მაგალასკვილი (2010). თო ტჰე ქუესტიონ ოფ დეცოდინგ ოფ მეცჰანისმ ოფ ფორმატიონ ოფ "აგატე" სტრუცტურეს ინ გეოდეს ანდ ტუბულარ ბოდის ოფ ოჰალ-ცჰალცედონიც ცომპოსიტიონ. თჰე ინტერნატიონალ შცი-ენტიფიც ჩონფერენცე "პრობლემს ოფ გეოლო-გყ ოფ ტჰე ჩაუცასუს", დედიცატედ ტო ტჰე 85-ტჰ ანნივერსარყ ოფ ალ.ჟანელიდზე ინსტ. ოფ გეოლოგყ. თბილისი პ.69.

ანოტაცია: პირველად იქნა გაშიფრული სპეციფიკური აქატის სტრუქტურების წარმოქმნის მექანიზმი.

12. G.მაგალასკვილი (2010). ნატურალ "დეპლეტიონ" ოფ ცოალს უნდერ ტჰე ინფლუენცე ოფ სმეცტიტე ფორმატიონს ინ ტჰე ცომპოსიტიონ ოფ როოფინგ, სურფაცე ოფ სტრატუმ ანდ ინტერსტატე ჰოსტ როცკს. თჰე ინტერნატიონალ შცი-ენტიფიც ჩონფერენცე "პრობლემს ოფ გეოლო-გყ ოფ ტჰე ჩაუცასუს", დედიცატედ ტო ტჰე 85-ტჰ ანნივერსარყ ოფ ალ.ჟანელიდზე ინსტ. ოფ გეოლოგყ. თბილისი, პ. 68.

ანოტაცია: საქართველოს და სხვა ქვეყნების ნახშირების საბადოების მაგალითზე გაშიფრულია მათი ხარისხის დაქვეითების ფაქტორები; ნახშირის თვისებები იცვლება, თუ მათი მომიჯნავე ქანები წარმოდგენილია აქტიური შთანთქმის მქონე მინერალური ასოციაციით.

13. გ.გობეჩია, ქ.მახარაძე, რ.ფირცხალავა (2010). ჰიდრორესურსებზე ანთროპოგენური ზემოქმედების ზოგიერთი შედეგის შეფასება და პროგნოზირება. მეცნიერება და ტექნოლოგიები #10-12, 6 გვ.

ანოტაცია: განხილულია წყლის რესურსებზე ანთროპოგენური ზემოქმედების ზოგიერთი ნეგატიური შედეგი. შემოთავაზებულია რიგი სამეცნიერო-ტექნიკური ღონისძიებები ჰიდრორესურსების ანთროპოგენური ტრანსფორმაციის პრობლემების გადასაწყვეტად.

14. გ.გობეჩია, ლ.ლოდელიანი (2010). ახალი თანამედროვე შეხედულებები დაძველებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების სიცოცხლისუნარიანობის (მოქმედების) გახანგრძლივების შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჟ. ჰიდროინჟინერია. 5 გვ.

ანოტაცია: განხილულია ახალი შეხედულებები ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მოქმედების გახანგრძლივების მიზნით.

15. გ.გობეჩია, ე.წერეთელი (2010). წყლის რესურსების ანთროპოგენური ტრანსფორმაციის საკითხები. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შრ. კრებული #65. 6 გვ.

ანოტაცია: მოცემულია წყლის რესურსების ანთროპოგენური ტრანსფორმაციის შეფასება და დასახულია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

16. ჯ.კაკულია და სხვ. (2010). მოსაზრებანი ჩორდის ბარიტმემცველი ნარჩენების უტილიზაციის შესახებ. საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. 11-13 ოქტომბერი 2010. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 4 გვ.

ანოტაცია: ჩორდის ბარიტმემცველი ნარჩენების გამდიდრებადობაზე ჩატარებული წინასწარი კვლევების საფუძველზე დადგენილია ბარიტ და ბარიტ-კალციტის ფლოტაციური კონცენტრატების მიღების შესაძლებლობა. ფლოტაციისთვის მასალის მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა დეზინტეგრაციის კომბინირებული ტექნოლოგიური სქემა.

17. ჯ.კაკულია და სხვ. (2010). ჩორდის ბარიტმემცველი ნარჩენების გამდიდრების რეჟიმის შერჩევა. თელავის უნივერსიტეტის შრომათა კრებული. 3 გვ.

ანოტაცია: შემუშავებულია ჩორდის ბარიტმემცველი ნარჩენების გამდიდრების რეჟიმი, რომელიც ითვალისწინებს მასალის გაშრობას, თერმულ დამუშავებას, გამომწვარი პროდუქტის გაცხრილვას +0.4 მმ, -0,4+0,16 მმ და -0,16 მმ სიმსხოს კლასებად, შესაბამისად მათგან კალციტის, კალციტ-ბარიტის და ბარიტის კონცენტრატების მიღებას.

18. ჯ.კაკულია და სხვ. (2010). სპილენძისა და თუთიის ბაქტერიალური გამოტუტვის შესაძლებლობის დადგენა სპილენძ-თუთიის სულფიდურ მადნებისაგან. თელავის უნივერსიტეტის შრომათა კრებული. 3 გვ.

ანოტაცია: შესწავლილია სპილენძ-თუთიის შემცველი სულფიდური მადნების ბაქტერიალური გადამუშავების შესაძლებლობა. დადგენილია მადნებიდან სპილენძის და თუთიის ბიოგამოტუტვის ოპტიმალური პარამეტრები.

19. . . . , (2010).

« » , 2 ..
ანოტაცია: მოხსენებაში გამახვილებულია ყურადღება სიღრმულ ფაქტორებზე ნახშირდაგროვების პროცესში.

20. . . . (2010). . . . (1895-1977).

« » 338-346..
ანოტაცია: სტატია ეხება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში ევოლუციური პალეონტოლოგიის ფუძემდებლის აკად. ლ.დავითაშვილის მეცნიერულ მოღვაწეობას.

21. ჯ.მაჭავარიანი, ვ.იაშვილი (2010). მაღალმთიანი რაიონების სათიბ-სადოვრების რეაბილიტაცია. საერთაშორისო კონფერენციის “მაღალმთიანი ნიადაგების ბიომრავალფეროვნება”. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოხსენებათა კრებული (ინგლისურ ენაზე), 4 გვ.

ანოტაცია: განხილულია მაღალმთიანი რაიონების სათიბ-სადოვრების შენარჩუნების, ნაყოფიერების ამაღლებისა და რაციონალური გამოყენების პროფილაქტიკური ღონისძიებები, განსაკუთრებით მეწყერ- და ღვარცოფსაშიშ ზონებში.

22. ლ.ჩიქავა (2010). შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებანი გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი 8. გამომცემლობა “სიახლე”. თბილისი, 6 გვ.

ანოტაცია: შრომის მწარმოებლურობის ზრდის საერთო ეკონომიკური კანონის გლობალიზაციის პირობებში მოქმედების თავისებურებებია: სივრცისეული არეალის გაფართოება, ინტენსიურობა, შრომის მწარმოებლურობის დონის მსაზღვრელთა შორის საყოველთაო ურთიერთკავშირი, შრომის მწარმოებლურობის ფაქტორთა შორის ახლებური ურთიერთდამოკიდებულება, არსებითი სტრუქტურული ძვრები შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში და სხვ.

23. ლ.ჩიქავა (2010). საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი მსოფლიოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო კანონზომიერებათა შუქზე. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ერთობლივი მოამბე. #13 და #14. თბილისი, 8 გვ.

ანოტაცია: ამჟამად საქართველო განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. მისი ძირითადი მახასიათებლებია: შობადობის მკვეთრი დაცემა; მოკვდაობის ჯერ კიდევ მაღალი დონე და მოსახლეობის რიცხოვნობის აბსოლუტური კლება (დეპოპულაცია), რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქართული ეთნოსის გენოფონდს.

24. ლ.ჩიქავა (2010). მწვავე დემოგრაფიული ვითარება საქართველოში და მისი ნორმალიზების ღონისძიებათა სისტემა (თანაავტორებთან ერთად). ჟურნ. “ეკონომისტი”. #1, 5 გვ.

ანოტაცია: საქართველოში არასებული მწვავე დემოგრაფიული ვითარების ნორმალიზების ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია: ოჯახში ოპტიმალური ოდენობით შვილების ყოლის მოთხოვნის ფორმირება და შესაბამისი რეპროდუქტიული განწყობისა და ქცევის ჩამოყალიბება; შვილთა სასურველი

რაოდენობის პრაქტიკული რეალიზაცია; ქმედით ღონისძიებათა განხორციელება ისეთი სოციალური ანომალიების წინააღმდეგ, როგორცაა ნარკომანია, პროსტიტუცია, ჰომოსექსუალიზმი, ლოთობა და სხვ.

25. ლ.ჩიქავა (2010). ზოგიერთი სადისკუსიო ეკონომიკური ტერმინის შინაარსობრივი დატვირთვის საკითხისთვის. ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი". #5, 6 გვ.

ანოტაცია: სტატიაში გადმოცემულია უკანასკნელ პერიოდში ავტორის ნაფიქრალ-ნააზრევი ზოგიერთი სადისკუსიო ეკონომიკური ტერმინის (ეკონომიკურად აქტიური და არააქტიური მოსახლეობა, მოსახლეობის აქტიურობის დონე, დასაქმებული, თვითდასაქმებული უმუშევარი, უმუშევრობის დონე, სამუშაო ძალა და სხვ.) ფორმულირებისადმი მათი შინაარსის ადეკვატურობის შესახებ.

26. ლ.ჩიქავა (2010). მწვავე დემოგრაფიული ვითარება კავკასიონის მთიანეთში და მისი ნორმალიზების ღონისძიებათა სისტემა. საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. თბილისი, 10 გვ.

ანოტაცია: გაანალიზებულია უკიდურესად მწვავე დემოგრაფიული ვითარება ყაზბეგის, დუშეთის, ახმეტის, თიანეთის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის რაიონებში და შეთავაზებულია რეკომენდაციები მისი რამდენადმე ნორმალიზების უზრუნველსაყოფად.

3. 2010 წელს კონკურსი ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების მოსაპოვებლად არ გამოცხადებულა

4. 2010 წელს ცენტრის მიერ ჩატარებული კონფერენციების, სიმპოზიუმების და ა.შ. რაოდენობა – 1; საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილი იყო ცენტრის თანამშრომელთა 8 მოხსენება.

დანართი

საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის 2010 წლის შედეგების მონაცემები საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ტიტულის მოსაპოვებლად

1. ცენტრის თანამშრომელთა საერთო რაოდენობა – 28,
მ.შ. მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა – 14

2. სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა – 15
მ.შ. ა) საზღვარგარეთ - 1
ბ) საქართველოში - 14

3. გამოქვეყნებული მონოგრაფიების რაოდენობა - 2

მ.შ. საქართველოში - 2

4. – არა

5. უმაღლესი სასწავლებლებისათვის შედგენილი და გამოცემული სახელმძღვანელოების რაოდენობა – არა

6. კონფერენციების, სიმპოზიუმების და ა.შ. მასალებში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა - 9

ა) საერთაშორისო - 8

ბ) საქართველოში - 1

7-8. – არა

9. მიღებული გრანტების რაოდენობა - არა

10-14. – არა

ცენტრის დირექტორი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი,
პროფესორი -

ქ.ვეზირიშვილი-ნოზაძე